საქართველოს თავდაცვის მინისტრის

ბრძანება №19

2026 წლის 25 მარტი

ქ. თბილისი

,,საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში სამხედრო დისციპლინის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2024 წლის 5 მარტის №33 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში სამხედრო დისციპლინის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2024 წლის 5 მარტის №33 ბრძანებაში (ვებგვერდი, 11/03/2024, სარეგისტრაციო კოდი: 120050000.22.026.017210) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული №1 დანართის მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 4. წახალისების ინიციირება**

სამხედრო მოსამსახურის მიმართ შესაბამისი წახალისების სახის გამოყენება ხდება ამ ბრძანების დანართ №1.1-ით გათვალისწინებული წარდგინების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც:

ა) წახალისების ინიციატორია ამ ბრძანების დანართ №1.2-ით გათვალისწინებული წახალისებაზე უფლებამოსილების მქონე თანამდებობის პირი;

ბ) სამხედრო მოსამსახურის წახალისება ხდება ფულადი ჯილდოთი.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს თავდაცვის მინისტრი **ირაკლი ჩიქოვანი**